საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

6002-01-2-201912241726

N 01/6002
24/12/2019

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას

თქვენი მიმდინარე წლის 18 დეკემბრის GOV 9 19 00051782 წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის N 10904/01; თარიღი: 20.12.2019) პასუხად გაცნობებთ, რომ დეცენტრალიზაციის საშუალო ვადიანი სტრატეგიის შექმნის პროცესს უძღვება საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მთლიანად მთავრობის აქტიური ჩართულობით და პარლამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით, ბუნებრივია ადგილობრივი თვითმმართველობების მონაწილეობით. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე პროცესი საკმაოდ აქტიურად და სხვადასხვა მხარეების ფართო ჩართულობით წარიმართა. პროცესის მხარდაჭერისა და უწყებათაშორისი კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმისა და დეცენტრალიზაციის სამთავრობო კომისია (საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24 აგვისტოს №435 დადგენილება „ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმისა და დეცენტრალიზაციის სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“), რომლის შემადგენლობა საკმაოდ წარმომადგენლობითია. სამთავრობო კომისიის წევრია ყველა მინისტრი, პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე და ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობების ორი ასოციაცია (ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსისტთა ასოციაცია). სწორედ აღნიშნული კომისიის გადაწყვეტილებით პროცესის უზრუნველსაყოფად შეიქმნა სამი სამუშაო ჯგუფი, რომელთა დაკომპლექტება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ორგანიზებით მოხდა საჯარო მოწვევის გზით. გაცნობებთ, რომ დაინტერესება საკმაოდ დიდი გახლდათ და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობის სურვილი სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებმა გამოთქვეს. სამუშაო ჯგუფები დაკომპლექტებული იყო როგორც არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებით, ისე, სფეროში მომუშავე ექსპერტებითა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებით. ასევე, ყველა სამინისტროსა და პარლამენტის კომიტეტების წარმომადგენლებით. დეცენტრალიზაციის სტრატეგიის პროექტი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ჩართულობითა და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ორგანიზებით გაცნობილ იქნა ადგილებზე ყველა მუნიციპალიტეტისთვის საჯარო შეხვედრების (კონსულტაციების) გზით. შეხვედრების მთავარ მიზანს კი მათი შენიშვნებისა და მოსაზრებების მიღება და შემდგომში სტრატეგიის დოკუმენტში ასახვა წარმოადგენდა. სტრატეგიის შემუშავების პროცესი საკმაოდ აქტიურად და ინკლუზიურად მიმდინარეობდა.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს დეცენტრალიზაციის სტრატეგიისა და მისი 2 წლიანი სამოქმედო გეგმის პროექტების მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარსადგენი პროცედურები.

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

რაც შეეხება წერილში აღნიშნულ შემდეგ საკითხს, გაცნობებთ, რომ „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა“ დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N628 დადგენილებით.

პატივისცემით,

მზია გიორგობიანი

მინისტრის მოადგილე